



KTL Ltd.
Iumashevi Str #1 /
Kakheti Highway.
0151, Tbilisi, Georgia

Tel.: 00995 32 2914508
Fax: 00995 32 2914509
E-mail: info@kti-georgia.com
Web: www.ktl.ge

KTL Kaukasus Transport Logistik · Kekelidse Str. 14 · 0179 Tbilisi - Georgia
Iumashevi Str#1, Kakheti Highway - Office

27 სექტემბერი 2020 წ.

N: 94/0921

წარმოგიდგენთ შ.პ.ს. „კავკასიის ტრანსპორტი და ლოგისტიკა“ 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგებების საერთაშორისო სტანდარტების (მსსდ ფასს) შესაბამისად.

დირექტორი: გ. ნაკანი



Kaukasus Transport Logistik

Wöchentliche Komplett - und Teilsendungen aus Europa nach Kaukasus und Zentralasien
Weekly full and Groupage Deliveries from Europe to Caucasus and Central Asia

Direktor: Nino Imnadze Ident Nr: 206146543
Bank: BASISBANK JSC. K. Tsamebuli Ave. Tbilisi 0103 Georgia, Swift: CBASGE22 IBAN: GE48 BS00 0000 0023 3369 17 GEL/USD/EUR

შპს „კავკასიის ტრანსპორტი და ლოგისტიკა“

ინდივიდუალური ფინანსური
ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის
დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

მოგება-ზარალის ანგარიშგება

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობა

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა 1

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა 2

შპს „კავკასიის ტრანსპორტი და ლოგისტიკა“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)

	2020	2019
აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	608857	438595
სავაჭრო მოთხოვნები	1134356	1570363
გადახდილი ავანსები	161419	284315
მარაგები	6117	16582
სხვა მინდინარე აქტივები	145935	75041
სულ მოკლევადიანი აქტივები	2056684	2384896
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	1547295	1636117
არამატერიალური აქტივები	4194	5804
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		
სხვა გრძელვადიანი აქტივები	145935	75041
სულ გრძელვადიანი აქტივები	1697424	1716962
სულ აქტივები	3608173	4101858
ვალდებულებები		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	1380573	1093
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	50
საგადასახადო ვალდებულებები	0	0
სასესხო ვალდებულებები	0	
სხვა ვალდებულებები	309079	2147578
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1689652	2148721
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	0	0
სულ გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	0	0
სულ ვალდებულებები	1689652	2148721
მთლიანი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	2000	2000
გაუნაწილებელი მოგება	1916521	1876096
სულ კაპიტალი	1918521	1878096
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	3608173	4026817

დირექტორი



შპს „კავკასიის ტრანსპორტი და ლოგისტიკა“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)

	2020	2019
ამონაგები	12787839	13499987
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-9347315	-808553
საერთო მოგება	3440524	12691434
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1879513	-1863306
ცვეთა და ამორტიზაცია	-61097	-133127
იჯარის ხარჯი	-12643	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-799919	-10231693
სულ საოპერაციო ხარჯი	-2753172	-12228126
სულ საოპერაციო მოგება	687352	463308
წმინდა დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	-103052	-50989
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი	0	0
სულ მოგება დაბეგვრამდე	584300	412319
მოგების გადასახადი	0	-14553
წმინდა მოგება	584300	397766

დირექტორი



შპს „კავკასიის ტრანსპორტი და ლოგისტიკა“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების რეზერვი	სულ
1 იანვარი 2019	2,000	1,755,762	-	1,757,762
გაცემული დივიდენდები	- -	-276501	-	-276501
კაპიტალის სხვა ცვლილება	-	-932		-932
მთლიანი სრული შემოსავალი	-	397767	-	397767
31 დეკემბერი 2019	2,000	1,876,096	-	1,878,096
გაცემული დივიდენდები		-115789		-115789
კაპიტალის სხვა ცვლილება		-386417		-386417
მთლიანი სრული შემოსავალი		584300		584300
31 დეკემბერი 2020	2,000	1,958,190		1,916,521

დირექტორი



შპს „კავკასიის ტრანსპორტი და ლოგისტიკა“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

	2020	2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	273314	-73705
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	0	-
წმინდა კლება ფულსა და ფულის ეკვივალენტში	-103052	-73705
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტს შორის	170262	-73705
სავალუტო კურსის ეფექტი		-50989
ფული და ფულის ეკვივალენტი წლის დასაწყისში	438595	563289
ფული და ფულის ეკვივალენტი წლის ბოლოს	438595	438595

დირექტორი



1.ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „კავკასიის ტრანსპორტი და ლოგისტიკა“ (შემდეგში „კომპანია“) დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში. კომპანია დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება , რომლის საქმიანობა არის სატრანსპორტო გადაზიდვები შპს „კავკასიის ტრანსპორტი და ლოგისტიკა“ -ს არ გააჩნია მეკავშირე და შვილობილი საწარმოები. კომპანიის დირექტორი არის გიორგი ნაკანი . ხოლო კომპანიის წილის მფლობელები არიან: ნინო იმნაძე

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები , რომელიც გამოყენებულია ამ ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ.

2.1 ანგარიშგების მომზადების და წარგენის საფუძველი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში „მსს ფასს“). ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე , რომ საწარმო ფუნქციონირებს და თავის საქმიანობას უახლოეს საპროგნოზო მომავალშიც გააგრძელებს, არ აპირებს და არ საჭიროებს ლიკვიდაციას.

2.2 საანგარიშგებო ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ეროვნულ ვალუტაში-ლარში, რომელიც წარმოადგებს საანგარიშგებო ვალუტას. უცხოური ვალუტა აღიარებულია ოპერაციის განხორციელების თარიღით არსებული ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსით. საკურსო სხვაობები აღიარებულია სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯში.

2.3 ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე.

2.4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.5 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

2.6 ძირითადი საშუალებების აღრიცხვა

ძირითადი აქტივები ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში ასახულია საბალანსო ღირებულებით, თვითღირებულებას - დაგროვილი ცვეთა. ძირითადი საშუალების თვითღირებულება მოიცავს: მისი ნასყიდობის ფასს, ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის.

2.7 არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამებს, ლიცენზიებს.

2.8 სავაჭრო ვალდებულებები სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი

2.9 სესხი-ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხის სახით, რომელიც თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. კომპანია სესხის აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება.

შპს კავკასიის ტრანსპორტი და ლოგისტიკა -ს ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი ვალდებულება (12 თვემდე პერიოდი) და გრძელვადიანი ვალდებულება (12 თვეზე მეტი პერიოდი). კომპანიის ბალანსზე ფიქსირდება გრძელვადიანი ვალდებულება, რომლის მიზანი არის სასტუმროს კაპიტალური რემონტის ჩატარება და ინვესტიციების განცხორციელება ნომრების დამატების სახით.

აღნიშნული ვალდებულების გადაფასება ხდება საანგარიშგებო წლის ბოლო დღეს არსებული ეროვნული ბანკის კურსით, სხვაობა აღიარდება დაუყოვნებლივ მოგება/ზარალში.

2.10 საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებით განისაზღვრება. კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა მხოლოდ კომპანიის მესაკუთრეების გადაწყვეტილებით ხდება.

2.11 ამონაგები

ამონაგები საქონლის/მომსახურების რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი/მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების აღიარება ხდება რეალური ღირებულებით დაბრუნებების, ფასდათმობებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

2.12 ხარჯი

არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე,

რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებებთან. ხარჯის აღიარება ხდება გაწევისთანავე, დარიცხვის პრინციპის შესაბამისად.

2.13 სახელფასო განაცემი

ხელფასები ექვემდებარება დარიცხვის იმავე პერიოდში რომელშიც თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული.

2.14 დივიდენდის განაწილება

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა .

2.15 ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ , როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ ,როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი , რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. ძირითად საშუალებას ცვეთა ერიცხება ნაშთის შემცირებადი მეთოდის შესაბამისად.

2.16 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

2.17 მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდის გატანის სანაგარიშგებო თვეში. საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახადით თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) .

2.3 ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე ანგარიშები ბანკში	608857	438595
	0	0
სულ	608857	438595

2.4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	1134356	1570363
სხვა მოთხოვნები	0	0
სულ	1134356	1570363

2.5 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სასაქონლო მატერიალური ფასეულობა	6117	16582
სხვა	0	0
სულ	6117	16582

2.8 სავაჭრო ვალდებულებები

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	1380573	1093
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	50
საგადასახადო ვალდებულებები	0	0
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	0	0
სხვა ვალდებულებები	309079	2147578
სულ	1689652	2148721

2.11 ამონაგები

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ნეტო ამონაგები	12787839	13499987
სულ	12787839	13499987

2.12 ხარჯი

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
რპთ	9347315	808553
დასაქმებულთა ანაზღაურება	1879513	1863306
ცვეთა და ამორტიზაცია	61097	133127
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	799919	10231693
იჯარის ხარჯი	12643	
სულ	12100487	13036679

